პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 125 (19866) კვირა, 31 მაისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

იტალიელ მოსწავლეებს

ძვირფასო იტალიელო მოსწავლენო!

დიდი ინტერესით გავეცანი თქვენს წერილებს, რომლებშიც შეშფოთებას გამოთქვამთ მშვიდობის ბედის გამო, ესწრაფვით დაიცვათ კაცობრიობის მომავალი, მაშასადამე, თქვენი მომავალი, ქვეყნად ყველა ბავშვის მომავალი ბირთვული ომისაგან.

ვიცი, რომ თქვენთან, სამხრეთ იტალიაში, ნეაპოლში მზე ანათებს და წარმტაცი ყვავილფერი, რომ თქვენს მიწაზე ცხოვრობენ შესანიშნავი ადამიანები. სბაავშვო სიმღერაში, რომელსაც სბჭოთა ბავშვები მღერიან, არის ასეთი სიტყვები: „დაე, მუდამ იყოს მზე!“. დაე, თქვენთანაც ნუ დამ ანათებდეს თქვენი კაშკაშა და [illegible] ხმელთაშუა ზღვის, ნეაპოლური მზე.

დაე, დედამიწას ნურასოდეს ნუ დაატყდება თავს ბირთვული უბედურება, ამაზე ოცნებობენ, ეს სწყურიათ სბჭოთა ბავშვებსაც. ამისთვის იბრძვის მთელი სბჭოთა ხალხი.

გისურვებთ თქვენ, იტალიის ყველა ბავშვს, მშვიდობას, მზესა და ბედნიერებას.

მ. გორბაჩოვი.

წერილის გადაცემის ცერემონია

კაზორია (ნეაპოლის პროვინცია), 30 მაისი (საკდესი). ხუთი ათასზე მეტმა იტალიელმა მოსწავლემ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მ. ს. გორბაჩოვს გამოუგზავნა წერილი, რომელშიც გამოთქმულია შეშფოთება ბირთვული ომის საფრთხესთან დაკავშირებით მშვიდობის ბედის გამო. წერილში ხაზგასმულია, თუ რაოდენ საჭიროა ყველაფერი იღონონ დაძაბულობის შენელებისა და ხალხთა თანამშრომლობის გაფართოებისათვის. ეს წერილი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ იტალიაში იზრდება სიმპათიები ვ. ი. ლენინის ქვეყნისადმი, მისი სამშვიდობო საგარეო-პოლიტიკური ინიციატივებისადმი.

დღეს ქალაქ კაზორიაში, რომელიც ნეაპოლის მახლობლად მდებარეობს, გაიმართა იტალიელი ბავშვებისათვის მ. ს. გორბაჩოვის სამასუხო წერილის გადაცემის საზეიმო ცერემონია.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის

კომუნიკე

1987 წლის 28-29 მაისს ბერლინში გაიმართა ვარშავის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი. მასში მონაწილეობდნენ:

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — ტოდორ ჟივკოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო სბჭოს თავმჯდომარე, დელეგაციის მეთაური; გიორგი ათანასოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა სბჭოს თავმჯდომარე; დობრი ჯუროვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო თავდაცვის მინისტრი; მილკო ბალევი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი, პეტრე მლადენოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისაგან — ერიხ ჰონეკერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო სბჭოს თავმჯდომარე, დელეგაციის მეთაური; ვილი შტოფი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა სბჭოს თავმჯდომარე; გერჰარ აქსენი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი; ეგონ კრენცი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო სბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; ჰაინც კესლერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო სბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; ფრიდრიხ ოლენჰაერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო სბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; ოსკარ ფიშერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი;

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — ვოიციეხ იარუზელსკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო სბჭოს თავმჯდომარე, დელეგაციის მეთაური; ზბიგნევ მესნერი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა სბჭოს თავმჯდომარე; ალექსანდრ სმოლარი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი; ალექსანდრ ფაფეიჩევი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა სბჭოს თავმჯდომარე; ვინცენტ ბალიცკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი; ალოიზ ფაბერი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე; ვასილ ბილიაკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი; მილოშ ჯ�ეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე; ნ. ი. რიჟკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი; ს. ლ. სოკოლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი; ვ. ა. მედვედევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი;

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — იანოშ კადარი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის გენერალური მდივანი, დელეგაციის მეთაური; დიერდ ლაზარი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა სბჭოს თავმჯდომარე; მატიაშ სიურეში, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი; პეტერ ვარკონი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი; ფერენც კარპატი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი;

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისაგან—გუსტავ ჰუსაკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი, დელეგაციის მეთაური; ლიუბომირ შტროუგალი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე; ვასილ ბილიაკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი; ალოიზ ფაბერი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე; ვასილ ბილიაკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი; ბოგუსლავ ხნოუპეკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი; მილან ვაცლავიკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, სბჭოთა კავშირის მარშალი ვ. გ. კულიკოვი; პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ჰერბერტ კროლიკოვსკი.

1. თათბირის მონაწილეებმა საფუძვლიანად განიხილეს ევროპასა და მთლიანად მსოფლიოში შექმნილი ვითარება. მათ მიაჩნიათ, რომ მსოფლიო მოვლენების განვითარება, საერთაშორისო ურთიერთობებში მომხდარი ცვლილებები, სახელმწიფოთა მზარდი ურთიერთდამოკიდებულება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, უპრეცედენტო დამანგრეველი ძალის იარაღის შექმნა მოითხოვს ახლებურ აზროვნებას, ახლებურ მიდგომას ომის, მშვიდობისა და განიარაღების საკითხებისადმი, სხვა რთული გლობალური და რეგიონალური პრობლემებისადმი, უარის თქმას „ბირთვული შეკავების“ კონცეფციაზე, რომლის თანახმადაც ბირთვული იარაღი სახელმწიფოთა უშიშროების გარანტს წარმოადგენს. ბირთვულ ომში არ იქნებიან გამარჯვებულები. მათ დაადასტურეს თავიანთი რწმენა, რომ კარდინალური ამოცანაა ომის თავიდან აცილება, მისი სამუდამო გამორიცხვა კაცობრიობის ცხოვრებიდან, ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნება, გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და გადასვლა განიარაღების, უწონისწონად, ბირთვული განიარაღების კონკრეტულ ღონისძიებებზე, რომლის მიზანია სრული და საყოველთაო განიარაღება. ამისათვის საჭიროა გაერთიანდეს ყველა სახელმწიფოს, მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ღონისძიებანი, განმტკიცდეს ნდობა, სახელმწიფოების, განსაკუთრებით სხვადასხვა სოციალური სისტემის წარმომადგენელი სახელმწიფოებისა და მათი სამხედრო-პოლიტიკური კავშირების ურთიერთობაში, სწორად გვესმოდეს ერთმანეთის საზრუნავი, მიზნები და განზრახვები სამხედრო დარგში.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები კვლავ აცხადებენ, რომ მათი სამხედრო დოქტრინა თავდაცვითი ხასიათისაა, გამომდინარეობს სამხედრო ძალის გამოყენების გამორიცხვის, მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისა და სრული და საყოველთაო განიარაღების განხორციელების საჭიროებიდან, სამხედრო პოტენციალების თავდასაცავად საკმარის ფარგლებამდე შემცირების მიზანშეწონილებიდან. თათბირმა მიიღო დოკუმენტი ამ საკითხზე, რომელიც ქვეყნდება.

2. თათბირის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ ახლა გაჩნდა შესაძლებლობა განხორციელდეს შემდეგი პრაქტიკული ღონისძიებანი ბირთვული განიარაღების დარგში, რათა კაცობრობამ თავიდან აიცილოს ბირთვული კატასტროფა:

— დაუყოვნებლივ დაიდოს შეთანხმება ევროპაში მთელი ამერიკული და სბჭოთა საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ იმ პირნაცალეი მორიგების საფუძველზე, რომელიც რეიკიავიკში მიღწეული. მისი ხელმოწერის შემდეგ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობებთან შეთანხმებით ამ ქვეყნებიდან გამოტანილ იქნება სბჭოთა რაკეტები, რომლებიც იქ განლაგებულია დასავლეთ ევროპაში ამერიკული საშუალო სიშორის რაკეტების დაყენების სასუხო ღონისძიებად.

— ერთდროულად იქნეს ლიკვიდირებული სბჭოთა და ამერიკული ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტები ევროპაში და მოეწყოს მოლაპარაკება სბჭოთა კავშირის აღმოსავლეთში და ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ასეთი რაკეტების შესახებ.

— გადაწყდეს ევროპაში ტაქტიკური ბირთვული საშუალებების, მათ შორის, ტაქტიკური რაკეტების საკითხი მრავალმხრივ მოლაპარაკებაზე ვარშავის ხელშეკრულების მომაწილე სახელმწიფოების ბუდაპეშტის ინიციატივის სულისკვეთებით.

— დაიდოს მორიგება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების რადიკალური შემცირების თაობაზე რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების რეჟიმის იმავდროულ განმტკიცებასთან ერთად. მოკავშირე სოციალისტური სახელმწიფოები საჭიროდ ცნობენ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების 50-პროცენტიან შემცირებას 5 წლის განმავლობაში და მოლაპარაკებას ამ შეიარაღების შემდგომი შემცირების შესახებ.

— მიღწეულ იქნეს ბირთვული გამოცდის სრული აკრძალვა როგორც უპირველესი ღონისძიება ბირთვული შეიარაღების შემუშავების, წარმოებისა და სრულყოფის შეწყვეტის, მისი შემცირებისა და ლიკვიდაციის საქმეში. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები წინადადებას აყენებენ, ამ საკითხზე ეტაპობრივ მოლაპარაკებებს ერთ-ერთ ეტაპად ითვალისწინებენ ბირთვული ტესტების სრულ და საყოველთაო აკრძალვა, როგორც ბირთვული შეიარაღების შემუშავების, წარმოებისა და სრულყოფის შეწყვეტის უპირველესი ღონისძიება, მისი ეტაპობრივი შემცირება და სრული ლიკვიდაცია, კოსმოსურ სივრცეზე გამალებული შეიარაღების გავრცელების დაუშვებლობა,

მეორე. ქიმიური და სხვა სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვა და ლიკვიდაცია.

მესამე. ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი იარაღის შემცირება ისეთ დონემდე, რომლის დროსაც საკუთარი თავდაცვის უზრუნველმყოფ აც ერთ მხარეს არ ექნება მეორე მხარეზე უეცარი თავდასხმის, საერთოდ შეტევითი ოპერაციების ჩაჩაღების საშუალება.

მეოთხე. მკაცრი კონტროლი განიარაღების ყველა ღონისძიებისადმი, რომელიც დაეფუძნება ეროვნული ტექნიკური საშუალებებისა. და საერთაშორისო პროცედურების შეზამბას. მათ შორის, შესაბამისი საერთაშორისო ორგანოების შექმნას, სამხედრო ინფორმაციის გაზიარებას, ადგილებზე ინსპექციების მოწყობას.

მეხუთე. ევროპის სხვადასხვა რეგიონში და მსოფლიოს სხვა რაიონებში ბირთვული და ქიმიური იარაღისაგან თავისუფალი ზონების, აგრეთვე კონცენტრაციაშემცირებული შეიარაღებისა და ნდობაგადიდებული ზონების შექმნა, ნდობის სამხედრო ღონისძიებათა განხორციელება ევროპაში ნაცვალგების საფუძველზე და მორიგებათა მიღწევა ასეთი ღონისძიებების შესახებ მსოფლიოს სხვა რაიონებში, აგრეთვე ზღვებსა და ოკეანეებში. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებისა და ჩრდილოატლანტიკური კავშირის წევრი ქვეყნების ორმხრივი უარი სამხედრო ძალის გამოყენებაზე და იმ ვალდებულებათა კისრება, რომ იქონიებენ მშვიდობიან ურთიერთობას, სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე; ჯარების გაყვანა ეროვნული საზღვრების ფარგლებში, ორი სამხედრო კავშირის უშუალო შეხების ზონადან ყველაზე საშში შეტევითი სახეობის შეიარაღების გაყვანა, აგრეთვე ამ ზონაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების კონცენტრაციის შემცირება მინიმალურად შეთანხმებულ დონემდე.

მეექვსე. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები, რომლებსაც არანორმალურად მიჩნიათ ევროპის გათიშვა მოპირისპირე სამხედრო ბლოკებად, საჭიროდ ცნობენ ერთდროულად დაიშალოს ჩრდილოატლანტიკური კავშირი და ვარშავის ხელშეკრულება და პირველი ნაბიჯის სახით განხორციელდეს მათი სამხედრო ორგანიზაციების ლიკვიდაცია, საბოლოო ანგარიშით კი შეიქმნას საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემა.

* * *

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები ჩრდილოატლანტიკური კავშირის წევრ სახელმწიფოებს სთავაზობენ გამართონ კონსულტაციები, რათა შეადარონ ორივე კავშირის სამხედრო დოქტრინები, გააანალიზონ მათი ხასიათი, ერთად განიხილონ მათი შემდგომი ევოლუციის მიმართულებანი იმ მიზნით, რომ გაფანტონ წყლის მანძილზე დაგროვილი ორმხრივი ეჭვიანობა და უნდობლობა, მიაღწიონ ერთმანეთის განზრახვების უკეთეს გაგებას, უზრუნველყონ, რომ სამხედრო ბლოკებისა და მათი მონაწილეების სამხედრო კონცეფციები და დოქტრინები ეფუძნებოდეს თავდაცვითს საწყისებს.

კონსულტაციების საგანი შეიძლება გახდეს აგრეთვე ცალკეულ სახეობათა იარაღისა და შეიარაღებული ძალების მხრივ შექმნილი დისბალანსები და ასიმეტრიები და მათი აღმოფხვრის გზების ძიება დაწინაურებული მხარისათვის შემცირების საფუძველზე, ისეთი გაგების პირობით, რომ ასეთ შემცირებას შედეგად მოჰყვება სულ უფრო დაბალი დონეების დაწესება.

ხელშეკრულების მონაწილე სოციალისტური სახელმწიფოები აყენებენ წინადადებას გამართონ ასეთი კონსულტაციები ავტორიტეტულ ექსპერტთა დონეზე ორივე მხარის ქვეყნების სამხედრო სპეციალისტების მონაწილეობით. ისინი მზად არიან მოაწყონ ასეთი კონსულტაციები უკვე 1987 წელს. კონსულტაციები შეიძლება მოეწყოს ვარშავაში ან ბრიუსელში, ანდა რიგრიგობით ამ ქალაქებიდან თითოეულში.

სბჭოთა დელეგაციის მეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი ხელს აწერს დოკუმენტს — „ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა სამხედრო დოქტრინის შესახებ“. საკდეს-საკინფორმის ტელეფოტო.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა სამხედრო დოქტრინის შესახებ

თანამედროვე ვითარებაში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება სამხედრო დარგში სახელმწიფოებისა და სამხედრო-პოლიტიკური კავშირების იმ მიზნებისა და განზრახვების სწორ გაგებას, რომლებიც მათს სამხედრო დოქტრინებშია ხორცშესხმული. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა, რომლებსაც შეგნებული აქვთ ეს და ხელმძღვანელობენ კაცობრიობის ცხოვრებიდან ომის საბოლოო აღმოფხვრის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, სამხედრო ძალის გამოყენების გამორიცხვის, მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისა და სრული და საყოველთაო განიარაღების განხორციელების საჭიროებიდან, გადაწყვიტეს ჩამოაყალიბონ თავიანთი სამხედრო დოქტრინის პრინციპული დებულებანი, რომელიც საფუძვლად უდევს ვარშავის ხელშეკრულების საქმიანობას, გამოხატავს მისი მონაწილე სახელმწიფოების და მათი ეროვნული სამხედრო დოქტრინების თავდაცვითი სამხედრო-პოლიტიკური მიზნების ერთიანობას.

I.

ვარშავის ხელშეკრულების სამხედრო დოქტრინა, ისევე როგორც მისი თითოეული მონაწილისა, ექვემდებარება როგორც ბირთვული, ისე ჩვეულებრივი ომის დაუშვებლობის ამოცანას. თვით სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების ბუნებას გამო ეს სახელმწიფოები არ უკავშირებდნენ და არ უკავშირებენ თავიანთ მომავალს საერთაშორისო პრობლემების სამხედრო გადაჭრას. ისინი მხარს უჭერენ ყველა სადავო საერთაშორისო საკითხის გადაწყვეტას მხოლოდ მშვიდობიანი გზით, პოლიტიკური საშუალებებით.

ბირთვულ-კოსმოსურ ხანაში მსოფლიო შეიძლება შეიწიროს ომმა და ძალისმიერმა პოლიტიკამ. ისეთ პირობებში, როდესაც კოლოსალური რაოდენობის მომაკვდინებელი იარაღი დაგროვდა, კაცობრიობა გაძლება-გადარჩენის პრობლემის წინაშე აღმოჩნდა; მსოფლიო ომი, მით უმეტეს ბირთვული, კატასტროფულ შედეგებს მოუტანდა არა მარტო უშუალოდ კონფლიქტში ჩათრეულ ქვეყნებს, არამედ თვით სიცოცხლესაც დედამიწაზე.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა სამხედრო დოქტრინა მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვითია და იმით ხელმძღვანელობს, რომ ახლანდელ პირობებში სამხედრო გზის გამოყენება რაიმე სადავო საკითხის გადასაწყვეტად დაუშვებელია. მისი არსი შემდეგია:

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები არასდროს, არავითარ ვითარებაში არ დაიწყებენ სომარ მოქმედებას არც ერთი სახელმწიფოს, ან სახელმწიფოთა კავშირის წინააღმდეგ, თუ თვით არ გახდებიან შეიარაღებული თავდასხმის ობიექტი.

ისინი არასდროს არ იხმარენ პირველნი ბირთვულ იარაღს.

მათ არა აქვთ ტერიტორიული პრეტენზიები არც ერთი სახელმწიფოს მიმართ არც ევროპაში და არც ევროპის ფარგლებს გარეთ.

ისინი არ უყურებენ არც ერთ სახელმწიფოს, არც ერთ ერს, როგორც თავიანთ მტერს; პირიქით, მზად არიან მსოფლიოს უკლებლივ ყველა ქვეყანასთან წარმართონ ურთიერთობა უშიშროებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ინტერესების ორმხრივი გათვალისწინების საფუძველზე. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები აცხადებენ, რომ თავიანთ საერთაშორისო ურთიერთობას მტკიცედ ამყარებენ დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის ძალის ან მისით დამუქრების გამოუყენებლობის, საზღვრებისა და ტერიტორიული მთლიანობის უხრეველობის, კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, თანასწორუფლებიანობისა და სხვა იმ პრინციპებისა და მიზნების პატივისცემაზე, რომლებიც გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით, ჰელსინკის საბოლოო აქტით და საერთაშორისო ურთიერთობის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებით.

იღვწიან რა განიარაღების ღონისძიებათა განსახორციელებლად, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები იძულებული არიან იყოლიონ შეიარაღებული ძალები ისეთი შემადგენლობით და ისეთ დონეზე, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ მოიგერიონ ყოველგვარი თავდასხმა, რომელიც გარედან იქნება მმართველი ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერი სახელმწიფოს წინააღმდეგ.

მოკავშირე სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებში უზრუნველყოფილია საბრძოლო მზადყოფნა, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ ვერავინ ვერ ისარგებლოს მათი მოუმზადებლობით; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მათ მაინც დაესხმებიან თავს, ისინი გამანადგურებელ საკადრის პასუხს გასცემენ აგრესორს.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს არასდროს არ ჰქონიათ და არა აქვთ მისწრაფება იყოლიონ იმაზე მეტი შეიარაღებული ძალები და იქონიონ იმაზე მეტი იარაღი, ვიდრე ამ მიზნებისათვის არის საჭირო. ამრიგად, ისინი მტკიცედ იცავენ თავდაცვის, შესაძლო აგრესიის მოგერიების საკმარისობის ფარგლებს.

II.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს თავიანთი ხალხების წინაშე უბრალოდ მოვალეობად მიაჩნიათ საიმედოდ უზრუნველყონ მათი უშიშროება. სხვა ქვეყნებზე მეტი უშიშროების პრეტენზია მოკავშირე სოციალისტურ სახელმწიფოებს არა აქვთ, მაგრამ არც ნაკლებს დათანხმდებიან. ამკიდან არსებული სამხედრო-სტრატეგიული პარიტეტი ომის დაუშვებლობის გადამწყვეტი ფაქტორია. მაგრამ, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, პარიტეტის დონის შემდგომ ამაღლებას არ მოსდევს მეტი უშიშროება. ამიტომ ისინი კვლავაც ყველაფერს იღონებენ, რათა შეინარჩუნონ სამხედრო ძალების წონასწორობა სულ უფრო დაბალ დონეზე. ამ პირობებში გამალებული შეიარაღების შეწყვეტას და რეალური განიარაღების ღონისძიებათა განხორციელებას ეშმაკრიტად ისტორიული მნიშვნელობა ენიჭება. დღეს სახელმწიფოებს არ გააჩნიათ სხვა გზა გარდა იმისა, რომ მიაღწიონ მორიგებას სამხედრო კონფრონტაციის დონის რადიკალური შემცირების შესახებ.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები მტკიცედ ხელმძღვანელობენ ამ პოზიციით. ზუსტად თავიანთი სამხედრო დოქტრინის თავდაცვითი არსის შესაბამისად ისინი თანამიმდევრულად იღვწიან შემდეგი ძირითადი მიზნებისათვის:

პირველი. ბირთვული გამოცდის უსწრაფესი სრული და საყოველთაო აკრძალვა, როგორც ბირთვული შეიარაღების შემუშავების, წარმოებისა და სრულყოფის შეწყვეტის უპირველესი ღონისძიება, მისი ეტაპობრივი შემცირება და სრული ლიკვიდაცია, კოსმოსურ სივრცეზე გამალებული შეიარაღების გავრცელების დაუშვებლობა,

მეორე. ქიმიური და სხვა სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვა და ლიკვიდაცია.

მესამე. ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი იარაღის შემცირება ისეთ დონემდე, რომლის დროსაც საკუთარი თავდაცვის უზრუნველმყოფ აც ერთ მხარეს არ ექნება მეორე მხარეზე უეცარი თავდასხმის, საერთოდ შეტევითი ოპერაციების ჩაჩაღების საშუალება.

მეოთხე. მკაცრი კონტროლი განიარაღების ყველა ღონისძიებისადმი, რომელიც დაეფუძნება ეროვნული ტექნიკური საშუალებებისა. და საერთაშორისო პროცედურების შეზამბას. მათ შორის, შესაბამისი საერთაშორისო ორგანოების შექმნას, სამხედრო ინფორმაციის გაზიარებას, ადგილებზე ინსპექციების მოწყობას.

მეხუთე. ევროპის სხვადასხვა რეგიონში და მსოფლიოს სხვა რაიონებში ბირთვული და ქიმიური იარაღისაგან თავისუფალი ზონების, აგრეთვე კონცენტრაციაშემცირებული შეიარაღებისა და ნდობაგადიდებული ზონების შექმნა, ნდობის სამხედრო ღონისძიებათა განხორციელება ევროპაში ნაცვალგების საფუძველზე და მორიგებათა მიღწევა ასეთი ღონისძიებების შესახებ მსოფლიოს სხვა რაიონებში, აგრეთვე ზღვებსა და ოკეანეებში. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებისა და ჩრდილოატლანტიკური კავშირის წევრი ქვეყნების ორმხრივი უარი სამხედრო ძალის გამოყენებაზე და იმ ვალდებულებათა კისრება, რომ იქონიებენ მშვიდობიან ურთიერთობას, სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე; ჯარების გაყვანა ეროვნული საზღვრების ფარგლებში, ორი სამხედრო კავშირის უშუალო შეხების ზონადან ყველაზე საშში შეტევითი სახეობის შეიარაღების გაყვანა, აგრეთვე ამ ზონაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების კონცენტრაციის შემცირება მინიმალურად შეთანხმებულ დონემდე.

მეექვსე. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები, რომლებსაც არანორმალურად მიჩნიათ ევროპის გათიშვა მოპირისპირე სამხედრო ბლოკებად, საჭიროდ ცნობენ ერთდროულად დაიშალოს ჩრდილოატლანტიკური კავშირი და ვარშავის ხელშეკრულება და პირველი ნაბიჯის სახით განხორციელდეს მათი სამხედრო ორგანიზაციების ლიკვიდაცია, საბოლოო ანგარიშით კი შეიქმნას საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემა.

* * *

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები ჩრდილოატლანტიკური კავშირის წევრ სახელმწიფოებს სთავაზობენ გამართონ კონსულტაციები, რათა შეადარონ ორივე კავშირის სამხედრო დოქტრინები, გააანალიზონ მათი ხასიათი, ერთად განიხილონ მათი შემდგომი ევოლუციის მიმართულებანი იმ მიზნით, რომ გაფანტონ წყლის მანძილზე დაგროვილი ორმხრივი ეჭვიანობა და უნდობლობა, მიაღწიონ ერთმანეთის განზრახვების უკეთეს გაგებას, უზრუნველყონ, რომ სამხედრო ბლოკებისა და მათი მონაწილეების სამხედრო კონცეფციები და დოქტრინები ეფუძნებოდეს თავდაცვითს საწყისებს.

კონსულტაციების საგანი შეიძლება გახდეს აგრეთვე ცალკეულ სახეობათა იარაღისა და შეიარაღებული ძალების მხრივ შექმნილი დისბალანსები და ასიმეტრიები და მათი აღმოფხვრის გზების ძიება დაწინაურებული მხარისათვის შემცირების საფუძველზე, ისეთი გაგების პირობით, რომ ასეთ შემცირებას შედეგად მოჰყვება სულ უფრო დაბალი დონეების დაწესება.

ხელშეკრულების მონაწილე სოციალისტური სახელმწიფოები აყენებენ წინადადებას გამართონ ასეთი კონსულტაციები ავტორიტეტულ ექსპერტთა დონეზე ორივე მხარის ქვეყნების სამხედრო სპეციალისტების მონაწილეობით. ისინი მზად არიან მოაწყონ ასეთი კონსულტაციები უკვე 1987 წელს. კონსულტაციები შეიძლება მოეწყოს ვარშავაში ან ბრიუსელში, ანდა რიგრიგობით ამ ქალაქებიდან თითოეულში.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელით
ტოდორ ჟივკოვი
ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპ

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის

კ ო მ უ ნ ი კ ე

(დასასრული)

ნებენ დაუყოვნებლივ დაიწყოს სრული მასშტაბის მოლაპარაკება ამ დარგში შესაბამის მორიგებათა მისაღწევად.

თათბირის მონაწილენი მტკიცედ მოითხოვენ, არ დაუშვან, რომ იარაღი გაჩნდეს კოსმოსურ სივრცეში, განუხრელად სრულდებოდეს რაკეტასაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულება, მიღწეულ იქნეს მორიგებანი თანამგზავრსაწინააღმდეგო სისტემებისა და „კოსმოს-დედამიწის“ კლასის შეიარაღების აკრძალვის შესახებ, კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავდაცვითი ხასიათი, გამოყენებულ იქნას იგი მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით რაციონალურ საფუძველზე, მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

მოკავშირე სოციალისტური სახელმწიფოების ხელმძღვანელებმა საჭიროდ ცნეს შემუშავდეს „საკვანძო დებულებანი“ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმებებისა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების, რაკეტასაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების რეჟიმის განმტკიცების, აგრეთვე ბირთვული გამოცდის თაობაზე, რომლებიც, საშუალო სიშორის რაკეტების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერასთან ერთად შეიძლება გახდეს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი დონის მორიგების საგანი და იურიდიულად დამავალდებულებელი საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებების მომზადების საფუძველი.

მათ საჭიროდ მიაჩნიათ, რომ ევროპის ყველა სახელმწიფო, უწინარესად, ორივე კავშირის წევრები, აქტიურად უწყობდნენ ხელს ბირთვული განიარაღების პროცესს, შესაბამისი მოლაპარაკების წარმატების უზრუნველყოფას. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები ყველაფერს იღონებენ, რათა მიაღწიონ კონკრეტულ მორიგებებს ორმხრივ და მრავალმხრივ საფუძველზე, რათა მომდინარე საუკუნის დამლევამდე მოისპოს ბირთვული და სხვა სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღი.

3. თათბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოები მხარს უჭერენ ქიმიური იარაღის უსწრაფეს ლიკვიდაციას. ისინი აღასტურებენ, რომ მზად არიან წელსვე დაასრულონ მისი აკრძალვის, ასეთი იარაღის არსებული მარაგის და დამზადების სამრეწველო ბაზის მოსპობის საერთაშორისო კონვენციის შემუშავება. ისინი შეახსენებენ ქვეყნებს თავიანთ განცხადებას ამის თაობაზე, რომელიც მოსკოვში მიიღეს 1987 წლის 25 მარტს.

4. განიხილეს იმ პროგრამის რეალიზაციის გზები, რომელიც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა წამოაყენეს 1986 წლის ივნისში 90-იანი წლების დამდეგს ევროპის შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების 25 პროცენტით შემცირების შესახებ. ასეთი შემცირება განხორციელდებოდა ერთდროულად და ტაქტიკურ ბირთვულ საშუალებებთან კომპლექსით. შემოთავაზებულ შემცირებათა განხორციელების პარალელურად, თათბირის მონაწილეებს საჭიროდ მიაჩნიათ შემუშავდეს ახალი ღონისძიებანი, რომლებიც შესაძლებელს გახდის შემდგომში განხორციელდეს შეიარაღებული ძალების, იარაღისა და სამხედრო ხარჯების კიდევ უფრო არსებითი შემცირება 2000 წლამდე.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს ევროპაში სამხედრო კონფრონტაციის შემცირება ესახებათ უწყვეტ პროცესად, რომელიც ყოველ ეტაპზე უზრუნველყოფს წონასწორობას შეძლებისდაგვარად უფრო დაბალ დონეზე. ითვალისწინებენ რა ევროპაში ორი მხარის შეიარაღებული ძალების ასიმეტრიას, რაც ისტორიული, გეოგრაფიული და სხვა ფაქტორებით არის გამოწვეული, ისინი გამოთქვამენ მზადყოფნას, აღმოფხვრან შემცირების პროცესში ზოგიერთი ელემენტის მბრივ წარმოშობილი უთანასწორობა, რისთვისაც შესაბამის შემცირებებს განახორციელებს ის, ვინც უფრო წინ აღმოჩნდა. ჯარებისა და იარაღის შემცირების პროცესთან ერთად განხორციელდებოდა სახელმწიფოთა სამხედრო ხარჯების შესაბამისი შემცირება.

თათბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოები ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ყველა სახელმწიფოს მიმართავენ წინადადებით გამართონ საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, რომელიც მიიღებდა გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ დაიწყოს ფართო მასშტაბის მოლაპარაკება, რათა რადიკალურად შემცირდეს შეიარაღებული ძალები და ჩვეულებრივი იარაღი, ტაქტიკური ბირთვული იარაღი ევროპაში და შესაბამისად შეიკვეცოს სამხედრო ხარჯები. ასეთ მოლაპარაკებაზე განხილულ უნდა იქნეს აგრეთვე მთელი რიგი უპირველესი ღონისძიებანი, რომლებიც დაკავშირებულია სამხედრო კონფრონტაციის შემცირებასთან და უეცარი თავდასხმის საფრთხის აღკვეთასთან, ორი სამხედრო კავშირის უშუალო შეხების ზონიდან ყველაზე საშიშ, შეტევითი სახეობების, შეიარაღების ორმხრივ გაყვანასთან, აგრეთვე ამ ზონაში შეიარაღებული ძალებისა და იარაღის კონცენტრაციის შემცირებასთან მინიმალურად შეთანხმებულ დონემდე.

ამ საკითხთა განხილვის საუკეთესო ფორუმი გახდებოდა ევროპაში ნდობის განმტკიცებისა და უშიშროების და განიარაღების ღონისძიებათა კონფერენციის მეორე ეტაპი. ამავე დროს შესაძლებელია განიარაღების საკითხთა განხილვის სხვა ვარიანტებიც, უწინარესად, საერთო-ევროპის პროცესის ფარგლებში, მათ შორის, სპეციალური ფორუმის მოწვევა.

მოკავშირე სოციალისტური სახელმწიფოები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ნატოს ქვეყნებისა და ვარშავის ხელშეკრულების წარმომადგენელთა ოფიციალურ კონსულტაციებს, რომლებიც ვენაში მიმდინარეობს და ხელი უნდა შეუწყოს მომავალი მოლაპარაკების მანდატის შემუშავებას.

თავიანთი კეთილი ნების დასადასტურებლად და მომავალი მოლაპარაკების საუკეთესო პირობებისა და უზრუნველყოფის ინტერესებისათვის ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები აცხადებენ, რომ მზად არიან გამოიჩინონ მაქსიმალური თავშეკავება თავიანთი სამხედრო პოტენციალების განვითარების მხრივ, ნაცვალგების საფუძველზე არ ზარდონ შეიარაღებული ძალები და ჩვეულებრივი შეიარაღება, და გამოაცხადონ სამხედრო ხარჯების გადიდების მორატორიუმი 1-2 წლით. ისინი მოუწოდებენ ნატოს ყველა ქვეყანას გამოიჩინონ ასეთივე მიდგომა.

5. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ევროპის ცალკეულ რეგიონებში სამხედრო კონფრონტაციის დაცხრობისა და უშიშროების განმტკიცების, ბალკანეთში, კონტინენტის ცენტრსა და ჩრდილოეთში ბირთვული და ქიმიური იარაღისაგან თავისუფალი ზონების შექმნის ღონისძიებებს. ისინი ადასტურებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, იღვაწონ იმ წინადადებათა რეალიზაციისათვის, რომლებიც ამის თაობაზე წამოაყენეს გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურმა რესპუბლიკამ, რუმინეთის სოციალისტურმა რესპუბლიკამ და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკამ.

რაც შეეხება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის წინადადებებს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და ნატოს შეხების ხაზის გაყოლებით 300 კილომეტრი სიგანის (150-150 კმ აქეთ-იქით) უბიჯთვი კორიდორის შესახებ, აქედან გამოტანილ უნდა იქნეს ნაცვალგების საფუძველზე მთელი ბირთვული იარაღი — ბირთვული საბრძოლო მასალა, მათ შორის, ბირთვული ნაღმები, ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური რაკეტები, ატომური არტილერია, დაშკვრელი ტაქტიკური ავიაციის მატარებელი თვითმფრინავები, აგრეთვე საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები, რომლებსაც ბირთვული იარაღის გამოყენება შეუძლიათ.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები აგრეთვე მხარს უჭერენ ბალკანეთში ბირთვული და ქიმიური იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ მრავალმხრივი დიალოგის განგრძობასა და გაღრმავებას.

თათბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოები მთლიანად უჭერენ მხარს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ წამოყენებულ ცენტრალურ ევროპაში შეიარაღების შემცირებისა და ნდობის გადიდების გეგმას. მისი განხორციელება კონტინენტზე მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცების ფუძემდებელოვანი ფაქტორი გახდებოდა.

6. განიარაღების ღონისძიებათა განხორციელება გარანტირებული იქნება კონტროლის ეფექტიანი სისტემით, რომელიც შეესაბამება განიარაღების ღონისძიებათა შინაარსს, მათ შორის — ადგილებზე ინსპექციით. ხელმძღვანელობენ რა იმით, რომ რეალურ განიარაღებაზე გადასვლის დროს კონტროლი უშიშროების უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება ხდება, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები აცხადებენ, რომ მზარს უჭერენ შეიარაღების შემცირების ყველა სტადიაზე შემოწმების უმკაცრესი ღონისძიებების კომპლექსის შემუშავებას.

რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგებისადმი კონტროლი ყველგან უნდა იქნეს უზრუნველყოფილი — რაკეტების დიმონტაჟისა და მათი ლიკვიდაციის ადგილებზე, პოლიგონებზე და სამხედრო ბაზებში, მათ შორის მესამე ქვეყნებში, სასწავლო ცენტრებში, საწყობებსა და როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დამამზადებელ ქარხნებში.

ჩვეულებრივი შეიარაღების დარგში შემცირების თვით პროცესისადმი კონტროლის ღონისძიებათა გარდა დაწესდება მეთვალყურეობა შემცირების შედეგად დარჩენილი ჯარების სამხედრო საქმიანობისადმი.

7. განიხილეს რა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენელთა ვენის შეხვედრის მიმდინარეობა, რომელსაც საყოველთაოდ მისაღებ მორიგებათა შემუშავების პასუხსაგები სტადია დაუდგა, თათბირზე წარმოდგენილმა სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყოველნაირად შეუწყონ ხელი მის წარმატებულ დამთავრებას, შეხვედრაზე შინაარსიანი და შეწონასწორებული გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ რეალური პროგრესს განიარაღების საქმეში, მონაწილე სახელმწიფოთა ნდობის განმტკიცებასა და ურთიერთობის განვითარებას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დარგებში ჰელსინკის საბოლოო აქტის ყველა პრინციპის მტკიცე და სიმდგრადე საფუძველზე. ისინი ილაშქრებენ დაპირისპირებულ სამხედრო ბლოკებად კონტინენტის დანაწილების წინააღმდეგ, მხარს უჭერენ მათ ერთდროულ დათხოვნას, კეთილმეზობლობასა და თანამშრომლობას სრულიად ევროპის სახლში.

თათბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოები გამოთქვამენ რწმენას, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების ნაგარაუდევი შეხვედრა ხელს შეუწყობს ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი იარაღის შემცირების შესახებ მოლაპარაკების არა მარტო დაწყებას, არამედ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის სხვა საკითხების გადაწყვეტასაც.

თათბირის მონაწილეებს ერთი აზრი ჰქონდათ იმაში, რომ მტკიცე მშვიდობა და კეთილშობილური მსოფლიო ექიმების“ მოძრაობის ფორუმი ითხოვს ეს.

პარტიული ზრუნვა შემოქმედებისათვის

ზოგადოების რეგოლუციური გაანახლების პირობებში?

ეს საკითხები განიხილება მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, სკკპ სამხარეო და საოლქო კომიტეტების კულტურის განყოფილებათა გამგეების საკავშირო თათბირზე, რომელიც 29 მაისს გაიხსნა კუიბიშევში. შეკრებილთა ყურადღების ცენტრშია თეატრალური ექსპერიმენტის პრობლემები, მწერალთა ორგანიზაციებისა და ლიტერატურული პრესის საქმიანობაში გარდაქმნის მიმდინარეობა, პარტიული კომიტეტების ამოცანები ამ პროცესში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგის პირველი მოადგილის ე. ვ. ხაიცევის ინფორმაციაში, მონაწილეთა გამოსვლებში ყოველმხრივ გაშუქდა ფართო მასშტაბის ექსპერიმენტის პირველი გაკვეთილები, რომელშიც მიმდინარე წლის იანვრიდან ქვეყნის 82 თეატრი მონაწილეობს. ექსპერიმენტის ერთ-ერთი საბოლოო მიზანია სასცენო კოლექტივების ისეთი მოდელების შექმნა, სადაც ყველაზე სრულად გამოვლინდება მათი შემოქმედებითი პოტენციალი.

საერთო მიზანი

ბინდგბის, სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების ამოქმედების დაგალებათა შესრულება რესპუბლიკის მშენებლების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამავე დროს წლის დამდეგიდან გაწეული მუშაობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ დარგში საგრძნობი ჩამორჩენაა. წლის პირველ ნახევარში ჩასაბარებლად დაგეგმილი 522 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებლიდან მოსალოდნელია 480 ათასის ჩაბარება. 1.200 ადგილით ვერ სრულდება სბაგშვო ბაღების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა სკოლების მშენებლობის მხრივ.

მშენებლებმა აქ მთელი ძალები, მთელი რეზერვები უნდა მოახმარონ ჩამორჩენის დაძლევას, ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ რესპუბლიკის სამშენებლო კომპლექსის მოქმედების კოორდინაციის სამუშაო ჯგუფის თათბირზე. ამ ობიექტების დროულად ამოქმედებაზე ხომ დამოკიდებულია ადამიანების ყველაზე საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

გეგმების ჩაშლა მნიშვნელოვანწილად იმიხნება ურიტმო მუშაობით, იმით, რომ არ არის ზუსტი გრაფიკი. კვლევიდებუთად სამუშაოთა ეტაპეცი მოკულობა თვის, კვარტლის, ნახევარწლეულის დამლევზე მოდის. ასეთი ვითარება აფერხებს ვიწრო ადგილების დროულ გამოვლინებას და აბრკოლებს საჭირო ღონისძიებების განხორციელებას. გარდა ამისა, ურიტმობას თან სდევს სიჩქარე, მაგ[illegible] ისხის გაუარესებაც.

თავს იჩენს უწყვეტი ... ნხმენლობაც ზოგიერთ საკითხში. ეს საკითხები დღის წესრიგში დგება, განიხილება, მაგრამ მათი გადაწყვეტა ჭიანურდება, ამასობაში კი დრო გადის და წლის დასაწყისიდან თავჩენილი ჩამორჩენა ღრმავდება. მთლიანად არ გამოსწორებულა ფინანსური მდგომარეობაც. ისევ მოისუსტებს საგადმხდელო დისციპლინა. მეურნეობრობის ახალმა პირობებმა მუშაობის ახალი ბერკეტებიც გასაზღვრა, მაგრამ დარგი მათ საქმარისად არ იყენებს, ნელა გარდაიქმნება.

თათბირზე აღინიშნა, რომ დარგობრივმა სამინისტროებმა და უწყებებმა თვითონ უნდა ისწავლონ საკუთარი ობიექტების მშენებლობა და რეკონსტრუქცია, შექმნან და გაიფართოონ სამამულო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მაგალითისათვის მოიყვანეს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო, სადაც, სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შემდეგ, შექმნეს შემჭიდროებულ ვადებში ჩამოეყალიბებინათ და განეთავრებინათ სამშენებლო ბაზა. აქ ყველა საჭირო სამუშაოებს თვითონ აწარმოებენ, არავიზე არ არიან დამოკიდებული. ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს გამოცდილება რესპუბლიკის სხვა დარგებმაც უნდა გაიზიარონ.

(საკინფორმი).

31 მაისი ქიმიკოსის დღეა

გარდაქმნის სულისკვეთებით

„სამთო ქიმიის“ საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ცხაკაიას კაბინეტში ფართო მოხმარების საგნების მრავალი ნიმუშია წარმოდგენილი. ახლახან იგი უნგრეთიდან დაბრუნდა და მონათესავე საწარმოებთან თანამშრომლობის პროგრამა ჩამოიტანა. გაერთიანების მშრომელები კარგა ხანია გარდაქმნის სულისკვეთებით შრომობენ და ცხოვრობენ, გვითხრა ნ. ცხაკაიამ. ეს, უპირველესად, იმით გამოიხატება, რომ მიმდინარეობს ძიება, ინტენსიური ტექნიკური პერსონალი ცდილობს კომპლექსურად გამოიყენოს ბუნებრივი რესურსები სახალხო მეურნეობისათვის საჭირო პროდუქციის დასამზადებლად.

დიახ, ძალზე საჭიროა გაერთიანებაში წარმოებული პროდუქცია—გუმბრინი, დარიშხანა, ბარიტი, კალციტი, ცეოლითი, ანდეზიტი, ბენტონიტური თიხები, მაღალი ხარისხის მონოკრისტალები, განსაკუთრებული სისუფთავის ლითონური დარიშხანა. თუ წინათ ბენტონიტური თიხები მხოლოდ საავტომობილო მრეწველობისა და გეოლოგიური ბურღვისათვის გამოიყენებოდა, ახლა მას წარმატებით ხმარობენ კვების მრეწველობასა და მედიცინაში.

ცეოლითს ფართოდ იყენებენ გაზებისა და სითხეების გასაწმენდად, ნიადაგის აგროტექნიკური თვისებების გასაუმჯობესებლად, მეცხოველეობასა და მეფრინველეობაში კომბინირებული საკვების დანამატად, სასმელი წყლის გასაწმენდად. ამიტომაც არის, რომ აქაურ პროდუქციაზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება. სასამუშაო მეურნეობაში ნახევრძლივმოქმედი ნიადაგის სახით ბუნებრივი ცეოლითების გამოყენება მოსავლიანობის საგრძნობ მატებას იძლევა. მაგალითად, პამიდრისა და კიტრის მოსავალი სათბურებში 20-25 პროცენტით იზრდება, მარწყვი კი ცეოლითიზირებულ გრუნტში ჩვეულებრივზე ორი კვირით ადრე მწიფდება და მოსავალიც დიდია. ბუნებრივი ცეოლითები იმარება ნიადაგში როგორც წყლისა და მარილების ცვლის რეჟიმის მრავალწლოვანი კონდიციონერი. ნიადაგში ცეოლითების დამატება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდასთან ერთად ზოგავს მინერალურ სასუქებს, ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო ფარობებში შეტანილი სასუქების ხანგრძლივ შენარჩუნებას და მათი ეფექტიანობის ზრდას. ცხოველთა საკვებში მისი შეტანა კი მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს პირუტყვის ნორმალურ შენარჩუნებას და პროდუქტიულობის მატებას.

მიუხედავად იმისა, რომ წლევანდელმა ზამთარმა დიდი ზიანი მიაყენა რაჭის სამთო-ქიმიურ ქარხანას, ჩორდის ბარიტის სამმართველოს, ცანის სამთო-ქიმიურ ქარხანას, გაერთიანების კოლექტივმა მაინც შეძლო მიმდინარე წლის ოთხი თვის გეგმის გადამეტებით 400 ათასი მანეთის პროდუქცია მიეწოდებინა მომხმარებლისათვის.

რაჭის სამთო-ქიმიურ ქარხანაში წლეულს ამოქმედდება ნახევრად ლითონური დარიშხანის საამქრო. ახალი ტექნოლოგიის დანერგვით სამჯერ გაიზრდება წარმოების მოცულობა, აქვე ჩადგება მწყობრში მონოკრისტალების ახალი საამქრო, გაერთიანების კოლექტივი მნიშვნელოვნად გაზრდის გზებზე დასაგები ახალი სახეობის ექვსკუთხა ფილების გამოშვებას, რომლებზეც დიდი მოთხოვნილებაა.

გაერთიანების ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სოციალური საკითხების მოგვარებას. აღსანიშნავია, რომ ქიმიკოსებს ყოველწლიურად 13 მილიონი მანეთი მოგება რჩებათ. ორ მილიონ მანეთს ამ თანხიდან სამეურნეო მეთოდით ბინათმშენებლობისათვის იყენებენ. მომგებიანმა მუშაობამ საშუალება მისცა გაერთიანებას საკუთარი სახლი საშენებელი კომბინატი აეშენებინა, ბინებს თანამშრომლებისათვის საკუთარი ძალებითა და სახსრებით აგებენ. მიმდინარე ხუთწლედში აქ ყველა დაკმაყოფილდება საცხოვრებელი ფართობით.

შარშან კურორტ შოვში მწყობრში ჩადგა დასასვენებელი ბაზა, სადაც ხუთასამდე კაცს შეუძლია კომფორტულად დაისვენოს. წლეულს ბაკურიანში საექსპლოატაციოდ გადაეცემა სანელი კორპუსი, სამტრედიაში შენდება წყლით სამკურნალო კორპუსი. 1989 წლისათვის დამთავრდება გაერთიანებისათვის განკუთვნილი სამი პოლიკლინიკის მშენებლობა.

ქიმიკოსის დღესთან დაკავშირებით სასიხარულო ცნობა მოვიდა მოსკოვიდან, საკავშირო მასშტაბით „პროფესიაში საუკეთესოს“ წოდება მოიპოვეს მახარაძის მაღაროთსამმართველოს მძღოლმა ერეკლე მენაბდემ და ჩორდის მაღაროთსამმართველოს გვირაბგამყვანმა ემელიანე სვანმა.

„სამთო ქიმიის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივი დაჩქარების კურსით წყვეტს მის წინაშე დასახულ ყველა ამოცანას.

ლ. ჭინჭლაძე.

სურათზე: უშრეტი ენერგიის კაცი „სამთო ქიმიის“ გენერალური დირექტორი ნ. ცხაკაია. გუშინწინ ბაკურიანის ანდეზიტის საწარმოში გახლდათ, გუშინ — რაჭის ქიმიურ ქარხანაში, დღეს თბილისის ლაბორატორიაში და ესაუბრება მეაპარატეებს დ. ჩიჩუასა და ს. მჭედლიშვილს იმის თაობაზე, თუ როგორ მიმდინარეობს უფაქიზესი, ძვირად ღირებული მონოკრისტალების ზრდა.

ჯ. ლომაძის ფოტო.

ქვეყნის ქიმიკოსთა დღესასწაული

მჭკიცედ მოიკიდა ფეხი ჩვენს ცხოვრებაში ქიმიამ. იგი განსაზღვრავს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს რადიოელექტრონიკასა და მშენებლობაში, მსუბუქ მრეწველობასა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით ქიმიური ინდუსტრიის განვითარებისა და სრულყოფის, მუშაობაში ნაკლოვანებათა დაძლევის შესახებ 29 მაისს მოსკოვში კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა ქიმიკოსის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ნ. ზაიკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. კ. გუსევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, მეცნიერები, წარმოების მოწინავენი და დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის მინისტრმა ი. ა. ბესსპალოვმა.

კრების მონაწილეებმა განაცხადეს, რომ არ დაიშურებენ ძალღონეს, ცოდნას, გამოცდილებას წლის დავალებებისა და მოლიანად ხუთწლედის შესრულებისათვის.

(საკინფორმი).

მსოფლიოს ექიმები—ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის

ბირთვული იარაღისაგან პლანეტის განთავისუფლება რეალურად მისაღწევი მიზანია. იმის სრული რწმენით, რომ დონეზე სძლევენ უგანურებას, რომ დედამიწაზე არ იფეთქებს „უკანასკნელი ეპიდემია“, შეიკრიბნენ მოსკოვში „ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მებრძოლი მსოფლიოს ექიმების“ მოძრაობის VII საერთაშორისო კონგრესის მონაწილენი. ეს ფორუმი, რომელშიც მსოფლიოს 55 ქვეყნის ორი ათასზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობს, 29 მაისს გაიხსნა მოსკოვში.

კონგრესი გახსნა მისმა პრეზიდენტმა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა მ. ი. კუზინმა.

დიდი ყურადღებით მოისმინეს კონგრესის დელეგატებმა და სტუმრებმა მისალმება, რომელიც ექიმთა ფორუმს გამოუგზავნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა. მისალმება წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. თ. დობრინინმა.

შემდეგ „ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მებრძოლი მსოფლიოს ექიმების“ მოძრაობის აღმასრულებელი კომიტეტის მდივანმა დ. ო. პასტორიმ (აშშ) წაიკითხა მრავალრიცხოვანი მისალმებათა ტექსტები, რომლებიც კონგრესს გამოუგზავნეს მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა. ხუთივე კონტინენტის სახელმწიფოებისა და მთავრობების მრავალმა მეთაურმა.

მოხსენებით „ბირთვული იარაღის მოსპობა ექიმთა მოძრაობის მიზანია“ გამოვიდა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი აკადემიკოსი ე. ი. ჩაზოვი. მოდით, ნუ ვიკამთბით იმათთან, თქვა მან, ვინც ამტკიცებს მშვიდობის შენარჩუნება მარტო „ბირთვული შეკავებით“ შეიძლებაო, მარტო ის აღვნიშნოთ, რომ ბირთვული შეკავების მექანიზმი უშეცდომო არ არის. უკვე აღარ შეიძლება გამალებული შეიარაღების მოგება, ისევე როგორც თვით ბირთვული ომისა. ახლა მსოფლიოში მთავარი არჩევანი სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა შორის კი არ კეთდება, არამედ სიკვდილ-სიცოცხლეს შორის.

მოძრაობის თანათავმჯდომარემ ჰარვარდის უნივერსიტეტის კარდიოლოგიის პროფესორმა ბ. ლაუნმა (აშშ)—ხაზი გაუსვა, რომ ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მებრძოლი საერთაშორისო მოძრაობის მონაწილე ექიმებმა ფიცი დადეს, რომ მოსპობენ განადგურების საფრთხის შემცველ ყველა გამაღიზიანებელს, იქნება ეს ქოლერა, შიდსი თუ ბირთვული იარაღი. ჩვენთვის მათი ამომძირკვა კატეგორიული იმპერატივია, როგორც სამედიცინო, ისე მორალური თვალსაზრისით.

კონგრესის მონაწილეებს მისალმა დემოკრატი სენატორი ა. გორი (აშშ).

შემდეგ გაიმართა ექიმთა საერთაშორისო მოძრაობის ჯილდოების გადაცემის ცერემონია. ერთერთი სპეციალური ჯილდო გადაეცა ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების თვალსაჩინო წარმომადგენელსა და საზოგადო მოღვაწეს ა. ჰამერს საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებაში შეტანილი წვლილისათვის.

„ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მებრძოლი მსოფლიოს ექიმების“ მოძრაობის მეშვიდე ფორუმი ოთხ დღეს გასტანს.

(საკდესი).

„ბაზაფხული“

ბაზაფხული ბოლო შაბათს სასკოლო ცხოვრების ბოლო პერიოდი დაუდგა რესპუბლიკის 60 ათასზე მეტ მეათეკლასელს. 30 მაისს ქალაქშვილები და ჭაბუკები საშუალო განათლების ატესტატის მოსაპოვებლად პირველ გამოსაშვებ გამოცდას აბარებდნენ. არჩევანის ხუთბრძლზე მდგომი 16-17 წლის ყმაწვილებისათვის ეს მოქალაქეობრივი სიმწიფის გამოცდაც არის.

ქართული სკოლების მეათეკლასელებმა დაწერეს გამოსაშვები შრომები თემებზე: „სამშობლო ჩვენთვის ყველაფერია“ (გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის მიხედვით), „სულხან-საბა ორბელიანი — ზნეობრივი მოძღვარი“, „ჭაბუკო, შენ ხარ მეოცის პირმშო, ოცდამეერთეს — შემატიანე!“.

რუსული სკოლების მოსწავლეებს შესთავაზეს შემდეგი თემები: „საბრძოლველად და გმირობისათვის კოკაკშირული გული მზად არის“ (ნ. ოსტროვსკის რომანის „როგორ იწრთობოდა ფოლადის“ მიხედვით), „ა. პუშკინის ლირიკის ძირითადი მოტივები“, „ძმაო ძმითა ხარ ძლიერი“.

აზერბაიჯანულ სკოლებში წერდნენ „თხზულებებს: „ხალხი ნამდვილი, დიდი საყრდენია“ (მ. იბრაგიმოვის რომანის „დიდი საყრდენის“ მიხედვით), „რილეგიის მხილება ჯ. მამედგულიზადეს ნაწარმოებებში „მკვდრები“, „ჩემი თანამედროვე“.

სომხური სკოლების მოსწავლეებმა გააშუქეს შემდეგი საგამოცდო თემები: „ა. აკოფიანი — რევოლუციის მეხოტბე“, „რა გრძნობებს მიღვიძებს რაფის რომანი „სამეული“, „ჩვენ პასუხს ვაგებთ მომავლისათვის“.

სურათზე: თბილისის პირველი საშუალო სკოლის გამოსაშვებ კლასებში მიმდინარეობს წერითი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

ვ. ბენბიურის ფოტო.

ბ ო ლ ო ნ ი ს ი

კუიბიშევი. ჩვენს ქვეყანაში ხელოვნების ოსტატებს სამართლიანად უწოდებენ ახალი ადამიანის აღზრდაში პარტიის ერთგულ თანაშემწეს. მაგრამ როგორ იხდენენ თვით შემოქმედებითი კადრების აღზრდის ფორმები და მეთოდები? როგორ წარმართავენ კულტურის ორგანოების პარტიული კომიტეტები მუშაობას სა-

ქება და დიდება ჯარისკაცის დედას

წმიდათაწმიდა სიტყვა „დედა“ განსაკუთრებულად აღიქმება, როცა იგი ეხება ქალს, რომელმაც სამშობლოს დამცველი აღუზარდა. იმთა, ვინც სიამაყით და, რა დასამალია, ეაჟეშვილების გამო მდელვარებით ატარებს ამ ს

პირველი მერცხლები

მაისის ოცდარვა...

ეს დღე დაუვიწყარი იქნება თბილისის 172-ე ბაგა-ბაღის აღზრდილთათვის. და განა მარტო მათთვის, ვერც მათი აღმზრდელები და შმობლები დაივიწყებენ იმ ამაღელვებელ დღეს.

იყო ზეიმი, გაჯიბრება ცეკვა-თამაშსა თუ ლექსის თქმაში, მაგრამ... დადგა წუთები, რომელმაც სინანულის ცრემლები მოპგვარა ყველას.

შმობლიურ ბაგა-ბაღთან დამშვიდობებას ვერა და ვერ შეგუებოდნენ ნორჩები. ზოგს გულუბრყვილო, ბავშვური პროტესტიც კი დასცდა, არ მინდა სკოლაში, აქ მირჩევნიაო...

როგორ არ ეგვდა ეს დღე შარშანდელ სექტემბრის პირველს, როცა საზეიმოდ გაიხსნა მათი ბაგა-ბაღის ახალთახალი შენობა და რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა მიულოცეს ახალმოსახლეობა.

ახლა კი...

—ნუ დარდობთ, ჩვენ კვლავაც ბევრჯერ შევხვდებითო, — დაუფუძავა ბაგა-ბაღის გამგემ ლია აფაქიძემ. უფროსი ჯგუფის აღზრდელი ეულიკო ყიფიანი სათითაოდ იხუტებდა გულში აღზრდილთ და ყველას რაღაც ისეთ დეტალს გაახსენებდა, ღიმილს მოპგვრიდა.

წლეულს, პირველ სექტემბერს ამ ბაგა-ბაღის ოცდაოთხი აღზრდილი მიუჯდება • სკოლის მერხს. მათ უკვე ბევრი რამ იციან საიმისოდ, რომ სკოლაში უცხოდ არ იგრძნონ თავი, და ეს იმ პედკოლექტივის დამსახურებაა, რომელმაც ასე გულით დაულოცა გზა თავის „პირველ მერცხლებს“.

და მაინც, რატომ უმძიმდათ ასე ეს დამშვიდობების წუთები?

აქ მშობლიურ გარემოში გრძნობდნენ თავს ყველანი.

პირობები, მართლაც რომ, ჩინებულია: მწვანედ დაბურული მყუდრო ეზო, ყვავილნარი და სათამაშოები... სამსართულიანი შენობის ქვედა ორი სართული ცალკეული ჯგუფებისთვის (სულ ხუთი ჯგუფია) განკუთვნილი სამეცადინო, გასახდელ და ხაძინებელ ოთახებს უკავია. ვრცელი ღია აივნები ეზოს გადაჰყურებს. მესამე სართულზე სასპორტო და სამუსიკო დარბაზებია. და რაც ასე აბარებდათ ბავშვებს, აქვეა ავტოდრომი, რომელიც იგივე მიკროქალაქია — თავის ქუჩებით, გადასასვლელებითა და შუქნიშნებით, ავტომობილებითა და ველოსიპედებით... ეს თოჯინების თეატრი, ეს კაფე და აფთიაქი, ეს წიგნისა თუ სხვა მაღაზიებია, ეს კიდევ — პარკი და სკვერი თავისი ატრაქციონებით... მოკლედ, აქ ყველაფერი აქვთ ბავშვებს, რაც კი დამახასიათებელია ქალაქისთვის. და ყოველივე ეს მხოლოდ მათი შემოქმედებითი თამაშისათვის იყო გამიზნული და მათაც ყველაფერს თავიანთ „ქალაქში“ ფუსფუსი და გართობა ერჩიათ.

ბაგა-ბაღს გ. ეგნატაშვილის სახელობის ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული ტანვარჯიშის სასპორტო სკოლა ემიჯნება და მომავალში ნორჩები მათი ვრცელი ეზოთი და სასპორტო ინვენტარითაც ისარგებლებენ. თანაც სკოლა შეფობას გაუწევს ბაგა-ბაღს და მისი მეთოდისტი უსარჯიანად უხელმძღვანელებს ბავშვთა ფიზიკურ აღზრდას. მალე ბაგა-ბაღის სარდაფში საცურაო აუზიც მოეწყობა და ყველას შეასწავლიან ცურვას.

ეს, როგორც ვთქვით, — მომავალში.

იმ დღეს ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა დ. იაკობაშვილმა გადაიღო ეს მხიარული „პირველი მერცხლები“ (სურათზე).

ამ სიხარულს გაუმარჯოს, ეს ჩვენი მომავლის ღიმილია!..

დიდი ოქტომბერი და სოციალიზმის სამყარო

საერთაშორისო შეხვედრა ულან-ბატორში

ულან-ბატორი. მონღოლეთის დედაქალაქში გაიმართა საერთაშორისო შეხვედრა თემაზე „დიდი ოქტომბერი და სოციალიზმის სამყარო“. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის, კუბის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საბჭოთა კავშირთან მეგობრობის საზოგადოებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

სალამოზე გამოვიდა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ე. ბალხაკავი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოქტომბერი, სოციალიზმი და მშვიდობა ერთიანნი, მთლიანი ცნებაა. შექმნა რა უდიდესი პოტენციალი, სოციალიზმი გახდა უზარმაზარი აღმშენებლობითი ძალა, რომელიც მთლიანად უნდა გამოვავლინოთ და გამოვიყენოთ.

საგარეო პოლიტიკის ლენინურმა პრინციპებმა, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის კონცეფციამ გაიარეს მკაცრი შემოწმება ისტორიული პრაქტიკით, გასაცდა შეხვედრაზე საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ვ. ვ. ტერეშკოვამ. და ახლაც ისინი ხამდილად ემსახურებიან ბრძოლას, რომელსაც საბჭოთა სახელმწიფო სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად ეწევა საერთაშორისო ურთიერთობის ძირეული გარდაქმნისათვის. ამ ბრძოლაში ჩვენი ქვეყანა ხელმძღვანელობს ახალი პოლიტიკური აზროვნებით, რომელიც ასახავს დღევანდელი მსოფლიოს რეალობებს.

საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს განცხადება. დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის სახელოვანი იუბილე, ხაზგასმულია დოკუმენტში, უაღრესად მკაფიოდ და დამაჯერებლად ცხადყოფს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, როგორც მეოცე საუკუნის ყველაზე თვალსაჩინო მოვლენის, მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას.

საბჭოთა პოლიტიკის ლენინურმა ფრენა-ბალახებმა, ეროვნული საკითხის ლენინურ-ბოლშევიკურ გადაწყვეტამ, ეროვნული ურთიერთობების ლენინურ-ბოლშევიკურ ფუძემ